



საქართველოში ცენტრალური ბანკი
პირველად 1919 წელს დაფუძნდა

თვის მიმოსილვა

თეგერვალი

2011

საქართველოს ეროვნული ბანკი

„თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

სარჩევი


1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება.....	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა.....	9
3. სამთავრობო ოპერაციები	11
4. საბანკო სექტორი	14
5. სავალუტო ბაზარი.....	19
6. სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები, ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	22
7. საგარეო სექტორის მიმოხილვა	29
8. დანართი.....	31
საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიტიკური ბალანსი	31
მონეტარული მიმოხილვა.....	32
კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ბალანსი	33
კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხები	34
კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტები	35
რეფინანსირების სესხების აუქციონის დინამიკა	36
მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხების დინამიკა	37
სავალუტო აუქციონების დინამიკა	37
მთლიანი საერთაშორისო რეზერვების დინამიკა	38
საერთაშორისო რეზერვებიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა	40

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის თებერვალში, იანვრის მაჩვენებელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 2.8 პროცენტით გაიზარდა. 2010 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 1.5 პროცენტს შეადგენდა. შედეგად, 2011 წლის თებერვალში წლიური ინფლაცია წინა თვეში დაფიქსირებული 12.3 პროცენტიდან, 13.7 პროცენტამდე გაიზარდა. საშუალო წლიურმა ინფლაციის მაჩვენებელმა საანგარიშო თვეში 0.7 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 8.6 პროცენტს მიაღწია.

თებერვალში, იანვართან მიმართებაში, ფასების ზრდა ძირითადად კვლავ სურსათზე ფასების მატების შედეგია. კონკრეტულად, მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა კომბოსტოზე. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, აღსანიშნავია შაქრის ღირებულების მატება. მოიმატა ძროხისა და ქათმის ხორცის და ასევე კარაქის ფასმა. თვის დონეზე ფასების ზრდა მოხდა ხორბლის ფქვილისა და პურის შემთხვევაში. სამომხმარებლო ფასების მატება დაფიქსირდა ასევე კიტრზე, პომიდორზე, მწვანისა და კარტოფილზე. სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით სამომხმარებლო ფასები გაიზარდა რამდენიმე სახეობის ხილზე. თებერვლის თვეში, იანვრის თვესთან შედარებით ფასების მატება დაფიქსირდა ბენზინსა და დიზელის სანავაზე. საანგარიშო პერიოდში, ფასებმა დაიკლო ყველზე, ლობიოზე და რამდენიმე კატეგორიის მედიკამენტზე. ფასების კლების ტენდენცია გაგრძელდა ქათმის ბარკლებსა და კვერცხზე.

თებერვალში ფასები გაიზარდა ყველა სასურსათო ჯგუფში. თუმცა მატების ყველაზე მაღალი ტემპები დაფიქსირდა შემდეგ კატეგორიებზე: „ხილი და ყურძენი“ (18.1 პროცენტი), „შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი“ (9.1 პროცენტი), „ხორცი და ხორცის პროდუქტები“ (8.7 პროცენტი) და „ბოსტნეული, ბალჩეული და კარტოფილი“ (7.1 პროცენტი). საანგარიშო პერიოდში, „პური და პურპროდუქტები“, „ზეთი და ცხიმი“, „კვების სხვა პროდუქტები“ და „უალკოჰოლო სასმელები“ სასურსათო ჯგუფებში შემავალ პროდუქტებზე სამომხმარებლო ფასების ზრდამ შესაბამისად, 4.6, 3.3, 3.0 და 2.0 პროცენტი შეადგინა. თებერვლის თვის განმავლობაში, წინა თვესთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა „ტრანსპორტის“ და „სასტუმროები, კაფეები და რესტორნების“ კატეგორიებში შემავალ საქონელზე და შესაბამისად, 2.0 და 0.7 პროცენტი შეადგინა. წინა თვესთან შედარებით ფასებმა ასევე მოიმატა „სხვადასხვა საქონლის და მომსახურების“ და „დასვენება, გართობა და კულტურის“ სფეროებში მიღებულ მომსახურებაზე. ფასების კლება დაფიქსირდა სექტორში „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“, „ჯანმრთელობის დაცვა“ და „ავეჯი და საოჯახო ნივთები და მოწყობილობა“. რაც შეეხება თვის საბაზო ინფლაციებს, ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 96.2 პროცენტი) თვის საბაზო ინფლაცია 2.1 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურად, ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისთვის (მთელი კალათის 85.5 პროცენტი) აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პროცენტია.




საანგარიშო თვეში წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 10.0 და 9.8 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 13.7 პროცენტით გაიზარდა. ფასები გაზრდილია დიზელსა და ბენზინზე (23.0 და 16.0 პროცენტით შესაბამისად). მაღალი ნლიური ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია „სურსათი და უალკოჰოლო სასმელების“ კატეგორიაში შემავალ პროდუქტებსა და „ალკოჰოლიანი სასმელებსა და თამბაქოზე“ ფასების ზრდით. კერძოდ, საანგარიშო თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასურსათო საქონელზე: „ხილი და ყურძენი“ (54.8 პროცენტით), „ბოსტნეული და ბალჩიული“ (42.6 პროცენტით), „ზეთი და ცხიმი“ (36.4 პროცენტით), „პური და პურპროდუქტები“ (24.6 პროცენტით) და „ხორცი და ხორცპროდუქტები“ (20.8 პროცენტით). ასევე აღსანიშნავია ფასების მატება შემდეგ კატეგორიებზე: „სხვა კვების პროდუქტები“ (20.8 პროცენტით), „რძე, ყველი და კვერცხი“ (19.5 პროცენტით), და „შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი“ (16.3 პროცენტით). სასაქონლო ჯგუფში „ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო“ სამომხმარებლო ფასების ნლიურმა მატებამ 9.6 პროცენტი შეადგინა.

როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოში სურსათის ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში შედარებით მაღალია და დღეისათვის 40.5 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, მაღალია ინფლაციის მაჩვენებლის მგრძნობელობა სურსათის ფასების ცვლილების მიმართ. სურსათის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ინფლაციაზე აისახება, ანუ ინფლაციის მერყეობის არსებითი წილი სურსათის ფასების ცვალებადობაზე მოდის.

2006-2009 წლების განმავლობაში სურსათზე ფასების ცვლილება მთლიანი ინფლაციის საშუალოდ 50 პროცენტს შეადგენდა. საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის მკვეთრი გაძვირების ფონზე, 2010 წლის მეორე ნახევრიდან, სურსათზე ფასების მატებით გამოწვეული ინფლაციის წილმა მთლიან ინფლაციაში 90.0 პროცენტს გადააჭარბა.




¹ * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.


თებერვლის თვეში, წინა წლის თებერვალთან შედარებით ფასების ზრდა დაფიქსირდა „ტრანსპორტის“ სფეროში (7.8 პროცენტით). ფასებმა იმატა ასევე „სასტუმროები, კაფეები და რესტორნები“ და „ავიჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობები“ კატეგორიებში შემავალ საქონელზე (7.8 და 4.1 პროცენტით შესაბამისად).


საანგარიშო თვეში, წლიურ დონეზე ფასების შემცირება დაფიქსირდა მხოლოდ ორ კატეგორიაზე. კერძოდ, სასაქონლო ჯგუფებში „კავშირგაბმულობა“ და „დასვენება, გართობა და კულტურა“ შემავალ მომსახურებაზე ფასებმა შესაბამისად, 7.0 და 0.8 პროცენტით დაიკლო.



თებერვლის თვეში იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 11.5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციის შედეგია. ადგილობრივი საქონელზე კი ინფლაცია 10.9 პროცენტია. ამავე პერი-


ოდში, არასავაჭრო საქონელზე ფასების დონემ 5.3 პროცენტით მოიმატა, ხოლო სავაჭრო საქონელზე წლიური 19.3 პროცენტი ინფლაცია დაფიქსირდა. სავაჭრო საქონელზე ინფლაციის ასეთი ზრდა ასევე საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული.





საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განილა-
ვა გვიჩვენებს, რომ 2011 წლის იანვარში წინა თვესთან შე-
დარებით ფასები შემცირდა საშუალო მოხმარების საქონ-
ელზე (0.5 პროცენტით), ხოლო ფასების ზრდა დაფიქსირდა
ხანმოკლე და საშუალო მოხმარების საქონელზე (4.0 და 0.3
პროცენტით შესაბამისად). პარალელურად, მომსახურე-
ბაზე ფასების დონემ 0.2 პროცენტით აიწია.

საქონლის სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების მიხედ-
ვით წლიური ინფლაციის მაჩვენებლები შემდეგია: ხანმოკ-
ლე მოხმარების საქონლისათვის სფი წლიური პროცენტუ-
ლი ზრდა 19.4 პროცენტს შეადგენს; საშუალო მოხმარების
საქონლის ფასები 2.3 პროცენტით გაიზარდა; ხოლო ხან-
გრძლივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში წლიურ დონ-
ეზე ფასების მატებამ 2.2 პროცენტი შეადგინა. თებერვლის
თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით,
განეულ მომსახურებაზე ფასების მატება 1.9 პროცენტს
გაუტოლდა.



ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათა-ში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).


	2009 წლის დეკემბრის წონები	თებ11/ია610		თებ11/თებ10		მარ10თებ11/ მარ09თებ10	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	2.8%	2.8%	13.7%	13.7%	8.6%	8.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	40.1%	6.0%	2.7%	28.4%	11.7%	15.3%	6.2%
სურსათი	40.5%	6.1%	2.8%	29.0%	12.1%	15.6%	6.3%
პური და პურპროდუქტები	11.7%	4.6%	0.6%	24.6%	2.8%	11.6%	1.4%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.8%	8.7%	0.6%	20.8%	1.4%	7.0%	0.5%
თევზი	1.3%	0.4%	0.0%	11.1%	0.1%	3.6%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	4.8%	0.2%	0.0%	19.5%	0.9%	11.1%	0.5%
ზეთი და ცხიმი	3.5%	3.3%	0.1%	36.4%	1.3%	18.4%	0.7%
ხილი, ყურძენი	1.8%	18.1%	0.4%	54.8%	1.1%	26.5%	0.5%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	7.8%	7.1%	0.8%	42.6%	3.9%	24.3%	2.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	9.1%	0.2%	16.3%	0.4%	20.2%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.4%	3.0%	0.0%	20.8%	0.1%	7.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	2.0%	0.0%	11.6%	0.1%	6.7%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	2.9%	0.4%	0.0%	9.6%	0.3%	8.6%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-0.8%	0.0%	2.5%	0.1%	-4.7%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	13.9%	0.0%	0.0%	2.6%	0.4%	1.4%	0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მონეტარობა, სახლის მოვლა- შეკეთება	3.6%	-0.1%	0.0%	4.1%	0.1%	1.4%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.0%	-0.9%	-0.1%	3.2%	0.3%	3.0%	0.3%
ტრანსპორტი	10.4%	2.0%	0.2%	7.8%	0.8%	8.8%	0.9%
კავშირგაბმულობა	4.2%	0.0%	0.0%	-7.0%	-0.3%	-3.4%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.2%	0.1%	0.0%	-0.8%	0.0%	-0.5%	0.0%
განათლება	5.2%	0.0%	0.0%	1.0%	0.1%	20.9%	0.9%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.8%	0.7%	0.0%	7.4%	0.1%	4.6%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.5%	0.4%	0.0%	8.6%	0.2%	5.5%	0.1%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	67.9%	4.0%	2.9%	19.4%	13.4%	11.4%	7.8%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	5.8%	-0.5%	0.0%	2.3%	0.1%	-3.2%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	3.4%	0.3%	0.0%	2.2%	0.1%	3.9%	0.1%
მომსახურება	22.8%	0.2%	0.0%	1.9%	0.4%	4.0%	0.9%

2. მონეტარული აბრეგატების დინამიკა

მონეტარული აბრეგატები

2011 წლის თებერვლის მდგომარეობით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 19,9 მლნ ლარით (1,2 პროცენტით) შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 1686,3 მლნ

ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 87,9 მლნ ლარით (5,0 პროცენტით) შემცირდა. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ კი 2,2 პროცენტი შეადგინა.



საანგარიშო პერიოდში, სავალუტო აუქციონის მეშვეობით ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 10,0 მლნ აშშ დოლარი. ამასთან, თებერვალში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, სეზ-ის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 4,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, აღნიშნულმა ოპერაციებმა წმინდა უცხოური აქტივები შეამცირა დაახლოებით 14,3 მლნ აშშ დოლარით.

თებერვალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 118,0 მლნ ლარით შემცირდა და მისმა მოცულობამ, თვის ბოლო მონაცემის მიხედვით 732,5 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობის მიზნით, გრძელდებოდა სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია. თებერვლის თვეში განთავსდა 140,0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და დაიფარა 110,0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2011 წლის თებერვლის ბოლოსათვის, მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა გაიზარდა 29,8 მლნ ლარით და 439,7 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, კომერციული

ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების მექანიზმს ☐ თებერვლის ბოლოსათვის, ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთმა 127,8 მლნ ლარი შეადგინა. თვის განმავლობაში კომერციული ბანკები ასევე სარგებლობდნენ ერთდღიანი კრედიტებით.

აღნიშნული ოპერაციების შედეგად, თებერვალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა, თვის ბოლო მონაცემების მიხედვით, 82,2 მლნ ლარით გაიზარდა და 299,1 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 19,9 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები 2,0 მლნ ლარით შემცირდა და 182,6 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო 13,3 მლნ ლარით გაიზარდა კომერციული ბანკების ერთდღიანი დეპოზიტებზე არსებული ნაშთები. ამავე პერიოდისათვის, 31,2 მლნ ლარით შემცირდა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა და 1443,7 მლნ ლარი შეადგინა.

სარეზერვო ფულის დინამიკა
(2010 წ. დეკემბერი – 2011 წ. თებერვალი, თვის ბოლო მონაცემები)
ათასი ლარი

	დეკ-10	იან-11	თებ-11
სარეზერვო ფული	1,822,270	1,706,228	1,686,288
ფული მიმოქცევაში	1,618,180	1,474,969	1,443,728
ბანკების დეპოზიტები	204,090	231,259	242,560
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	143,940	184,620	182,610
ერთდღიანი დეპოზიტები	60,150	46,639	59,950

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა
(2010 წ. დეკემბერი – 2011 წ. თებერვალი, თვის ბოლო მონაცემები)
ათასი ლარი

	დეკ-10	იან-11	თებ-11
სარეზერვო ფული	1,737,455	1,746,306	1,658,351
ფული მიმოქცევაში	1,517,155	1,519,119	1,436,269
ბანკების დეპოზიტები	220,299	227,187	222,082
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	169,264	187,707	187,327
ერთდღიანი დეპოზიტები	51,035	39,480	34,755

ფართო ფული

2011 წლის თებერვალში, ფართო ფული M3-ის აგრეგატი 36,5 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლო მონაცემის მიხედვით 5971,5 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტები 26,0 მლნ ლარით (0,8 პროცენტით) შემცირდა და თებერვლის ბოლოსათვის 3421,4 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში, 13,3 მლნ

ლარით გაიზარდა ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები და მისმა მოცულობამ 1325,6 მლნ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელმა საანგარიშო პერიოდში 0,4 პროცენტით (10,5 მლნ ლარით) მოიკლო.

ფართო ფული M3-ის წლიურმა ზრდამ 29,1 პროცენტი, ხოლო ფართო ფული M2-ის წლიურმა ზრდამ 21,4 პროცენტი შეადგინა.

ფულადი აგრეგატების ყოველთვიური ცვლილება
(2010 წ. დეკემბერი – 2011 წ. თებერვალი, თვის ბოლო მონაცემები)
ათასი ლარი

	დეკ-10	იან-11	თებ-11
ფართო ფული /M3/	6,213,673	6,008,014	5,971,519
ფულადი მასა /M2/	2,731,236	2,560,600	2,550,131
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	1,372,989	1,248,360	1,224,546
ლარები მიმოქცევაში	1,618,180	1,474,969	1,443,728
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	1,358,247	1,312,241	1,325,586
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	3,482,437	3,447,414	3,421,387

3. სამთავრობო ოპერაციები

თებერვალში მთავრობის დეპოზიტები თვის ბოლო მონაცემებით 118 მილიონი ლარით (14 პროცენტით) შემცირდა და 733 მილიონი ლარი შეადგინა.

2011 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 440,2 მილიონი ლარი შეადგინა, მისი 81 პროცენტი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის. 2 თვის შემოსულობებმა პირველი კვარტლის გეგმის მაჩვენებლის 60,6 პროცენტი შეადგინა.


თებერვლის ბიუჯეტის გადასახდელებმა 537,8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2 თვის შემოსულობებმა 994,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც პირველი კვარტლის გეგმის 57,3 პროცენტია.

მთავრობის დეპოზიტები თებერვლის თვის ბოლო მონაცემებით 118 მილიონი ლარით, ხოლო თვის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი 29 მილიონი ლარით შემცირდა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები (მილიონი ლარი)

		თვის ბოლო	თვის საშუალო
2010 წელი	იანვარი	749	626
	თებერვალი	667	706
	მარტი	940	714
	აპრილი	850	903
	მაისი	758	805
	ივნისი	681	726
	ივლისი	668	684
	აგვისტო	708	702
	სექტემბერი	790	719
	ოქტომბერი	710	761
	ნოემბერი	835	811
2011 წელი	დეკემბერი	809	855
	იანვარი	851	832
	თებერვალი	733	803

2011 წლის თებერვალში მთავრობის დეპოზიტების წლიური 10 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა (66 მლნ ლარი). რაც შეეხება დეპოზიტების საშუალო მაჩვენებელს, 2010 წლის თებერვალთან შედარებით მთავრობის დეპოზიტები 14 პროცენტით გაიზარდა (97 მლნ ლარი).




2011 წლის თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 440,2 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 81 პროცენტია, ხოლო ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული შემოსულობების 5 პროცენტია.

2011 წლის თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)


შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი	1 კვარტლის პროგნოზი	2 თვის შესრულება	თებერვლის შესრულება	2 თვის შესრულება %
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1,361,411.0	854,936.9	411,501.9	62.8%
მ. შ. გადასახადები	1,222,180.0	744,920.5	357,808.6	61.0%
გრანტები	96,429.0	54,042.0	27,374.9	56.0%
სხვა შემოსავლები	42,802.0	55,974.4	26,318.4	130.8%
არაფინანსური აქტივების კლება	10,000.0	10,872.6	5,238.0	108.7%
ფინანსური აქტივების კლება	6,231.0	5,963.7	1,717.9	95.7%
ვალდებულებების ზრდა	125,418.1	38,920.5	21,758.3	31.0%
საშინაო ვალდებულებების ზრდა	9,100.0	-1,309.4	159.5	-14.4%
საგარეო ვალდებულებების ზრდა	116,318.1	40,229.9	21,598.8	34.6%
საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები	116,318.1	40,229.9	21,598.8	34.6%
სულ შემოსულობები	1,503,060.1	910,693.7	440,216.1	60.6%

თებერვალში საგადასახადო შემოსავლების 53 პროცენტი (190,7 მლნ ლარი) მობილიზებულ იქნა დღგ-ს სახით. აქედან საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოზიდული შემოსავლის წილი 31 პროცენტს შეადგენს, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის წილი შესაბამისად 69 პროცენტია. თებერვლის თვის საგადასახადო შემოსავლებში სიდიდით მეორე კატეგორიაა საშემოსავლო გადასახადი, რომელმაც 99,5 მლნ ლარი (28 პროცენტი) შეადგინა. თებერვალში მობილიზებულ იქნა 42,4 მლნ ლარის (12 პროცენტი) ოდენობის აქციზის გადასახადი. აქედან იმპორტზე დაწესებული აქციზის წილი 63 პროცენტს შეადგენს, ხოლო ადგილობრივ საქონელზე □ შესაბამისად 37 პროცენტს. მოგების გადასახადმა მთლიანი შემოსავლების 4 პროცენტი (16 მლნ ლარი) შეადგინა.

თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 23 პროცენტით გაიზარდა. 2011 წლის თებერვალში წინა წლის თებერვალთან შედარებით ყველაზე მეტად მოგების გადასახადისგან მიღებული შემოსავლები გაიზარდა (72 პროცენტი). ყველაზე დიდი წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდაში დღგ-ზე მოდის (11,9 პროცენტი), რომელიც 22 პროცენტით გაიზარდა. ზრდა შეეხო ასევე აქციზის (29 პროცენტი) და საშემოსავლოს (20 პროცენტი) გადასახადებს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, იგი ფაქტიურად უცვლელი დარჩა.



თებერვალში საგადასახადო შემოსავლების წილმა მთლიან შემოსავლებში შეადგინა 87 პროცენტი (443,4 მლნ ლარი), საიდანაც 29 პროცენტული პუნქტი მოდის პირდაპირ (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი), ხოლო 58 პროცენტული პუნქტი არაპირდაპირ გადასახადებზე (დღგ, აქციზი და საბაჟო). არასაგადასახადო შემოსავლების და გრანტების წილებმა შესაბამისად 6 პროცენტი და 7 პროცენტი შეადგინა.





2011 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულია 537,8 მილიონი ლარის გადასახდელები, სადაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილით (24 პროცენტით) გამოირჩევა სოციალური ხარჯები. მაღალია საქონელი და მომსახურების (13 პროცენტი), შრომის ანაზღაურების (15 პროცენტი), აგრეთვე კაპიტალური ხარჯების (16 პროცენტი) წილი.

2011 წლის იანვრის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი	1 კვარტლის პროგნოზი	2 თვის შესრულება	თებერვლის შესრულება	1 თვის შესრულება %
შრომის ანაზღაურება	263,918.2	156,485.9	80,029.8	59.3%
საქონელი და მომსახურება	200,749.2	115,257.6	67,508.5	57.4%
პროცენტი	57,114.2	26,995.6	16,459.6	47.3%
მ. შ. საგარეო ვალდებულებებზე		14,266.6	9,772.8	
საშინაო ვალდებულებებზე		12,729.0	6,686.8	
სუბსიდიები	63,175.5	23,847.9	13,725.3	37.7%
გრანტები	228,061.3	154,218.5	44,396.5	67.6%
მ. შ. სხვა დონის სახელმწიფო ერთეულები		151,453.0	43,740.4	
სოციალური უზრუნველყოფა	374,025.8	251,789.9	127,956.8	67.3%
მ. შ. სოციალური დახმარება		249,978.5	127,026.1	
სხვა ხარჯები	209,315.0	83,108.4	78,691.2	39.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	274,197.9	146,216.1	85,609.9	53.3%
ფინანსური აქტივების ზრდა	25,286.0	13,387.3	10,752.1	52.9%
ვალდებულებების კლება	39,142.1	23,048.2	12,638.6	58.9%
სულ გადასახდელები	1,734,985.2	994,355.4	537,768.3	57.3%

თებერვლის ხარჯებში მიმდინარე დანახარჯების წილი 82 პროცენტს (429 მლნ ლარი) შეადგენს. კაპიტალური ხარჯების წილმა მთლიანი ხარჯების 16 პროცენტი (85,6 მლნ ლარი), ხოლო წმინდა დაკრედიტებამ მთლიანი ხარჯების 2 პროცენტი (11 მლნ ლარი) შეადგინა.





ფუნქციონალურ ჭრილში თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით სარგებლობდა სოციალურ დაცვაზე განეული ხარჯები წილით 27 პროცენტი (138 მლნ ლარი). აღნიშნული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოხმარდა ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვების დახმარებას და აგრეთვე სოციალური გაუცხოების საკითხების მოგვარებას.

თებერვალში საერთო სახელმწიფო მომსახურებაზე განეული ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 18 პროცენტი (92,7 მლნ ლარი) შეადგინა. აღნიშნული კატეგორიის ხარჯები ძირითადად წარმართა ადგილობრივი მთავრობებისადმი გამოყოფილ გრანტებზე, მთავრობის ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობაზე, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფასა და ვალდებულებების მომსახურებაზე.


თებერვალში განათლებაზე განეულმა ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 14 პროცენტი (70,7 მლნ ლარი) შეადგინა. აღნიშნული ხარჯები ძირითადად წარმართა საშუალო ზოგადი განათლების სკოლებზე და განათლების სფეროს დამხმარე მომსახურებაზე.

ხარჯების სიდიდით მეოთხე კატეგორიას თებერვალში წარმოადგენდა თავდაცვაზე (70,5 მლნ ლარი, მთლიანი ხარჯების 14 პროცენტი) განეული ხარჯები.



4. საბანკო სექტორი

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები, მიმდინარე წლის თებერვალში, 12,7 მლნ ლარით (ანუ 0,3 პროცენტით) შემცირდა და 4747,0 მლნ ლარს გაუტოლდა. დეპოზიტების კლება მთლიანად უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების კლებამ გამოიწვია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 36,3 პროცენტით.





საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი 26,0 მლნ ლარით შემცირდა და 3421,4 მლნ ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები (გამოსახული აშშ დოლარით) გაიზარდა 41,7 მლნ აშშ დოლარით. აღნიშნული ტიპის დეპოზიტების ზრდა როგორც იურიდიული პირების დეპოზიტებზე, ისე, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდაზე მოდის.


ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა თებერვლის თვეში წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 13,3 მლნ ლარით და 1325,6 მლნ ლარი შეადგინა. მოცემული ცვლილება, ძირითადად მიმდინარე ანგარიშებზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2011 წლის თებერვალში, 0,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 72,1 პროცენტს გაუტოლდა.


თებერვალში, საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები მთლიან დეპოზიტებზე 0,1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და წლიურმა განაკვეთმა 8,3 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შენონილი განაკვეთი გაიზარდა 0,4 პროცენტული პუნქტით და 11,4 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 0,9 პროცენტით და 12,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო იურიდიულ პირებზე შემცირდა 0,2 პრო-

ცენტით. უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე კი წლიური განაკვეთი 7,9 პროცენტის დონეზეა. უცხოურ ვალუტაში ფიზიკური პირების დეპოზიტების განაკვეთი გაიზარდა 0,8 პროცენტით და 8,5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 0,2 პროცენტული პუნქტით და წლიური 7,0 პროცენტი შეადგენა. 2010 წლის თებერვალში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 0,7 პროცენტული პუნქტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.





მიმდინარე წლის თებერვალში, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 108,5 მლნ ლარით შემცირდა და 6315,0 მლნ ლარს გაუტოლდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპი 18,1 პროცენტს შეადგენს.




ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა მცირედით, 3,9 მლნ ლარით (0,2 პროცენტით) მოიმატა და 1649,6 მლნ ლარს გაუტოლდა. ფიზიკური პირების დაკრედიტება გაიზარდა 4,3 მლნ ლარით. ეროვნულ ვალუტაში, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები კი შემცირდა 2,1 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდისათვის, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების მთლიანი მოცულობის 44,1 პროცენტი ფიზიკურ პირებზე მოდის. ამასთან, მთლიანი სესხების 52,9 პროცენტი გრძელვადიანი სესხებია.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები გამოსახული ლარებში 112,4 მლნ ლარით შემცირდა 4665,4 მლნ ლარამდე. უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების მოცულობა, გამოსახული აშშ დოლარით, გაიზარდა 14,3 მლნ აშშ დოლარით (0,5 პროცენტით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 2655,7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ძირითადი ზრდა ფიზიკური პირების გრძელვადიან სესხებზე მოდის. ამ კატეგორიის სესხების 66,1 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემული რესურსებია, ხოლო 78,7 პროცენტს გრძელვადიანი დაკრედიტება შეადგენს.


მილიონი ლარი

მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში




მილიონი ლარი


მოკლევადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში




მილიონი ლარი

გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში






თებერვლის თვეში, ვადაგადაცილებული სესხები 3,4 მლნ ლარით გაიზარდა და 183,5 მლნ ლარს გაუტოლდა.



საბანკო სისტემაში სესხებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები მიმდინარე წლის თებერვალში, შემცირდა 0,1 პროცენტული პუნქტით და წლიური 19,1 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთები 23,1 პროცენტს გაუტოლდა, გაიზარდა 0,6 პროცენტული პუნქტით. ამავე პერიოდის განმავლობაში, 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების

განაკვეთები და შეადგენს 16,2 პროცენტს. უცხოურ ვალუტაში ფიზიკური პირებისთვის სესხები წლიური 19,6 პროცენტის ფარგლებში გაიციმოდა. 2010 წლის თებერვალთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ დაკრედიტებაზე შემცირდა 2,5 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 1,0 პროცენტული პუნქტით.




საანგარიშო პერიოდში, საბანკო სისტემის შემოსავლიანობა აქტივებზე (ROA) შემცირდა 0,8 პროცენტული პუნქტით და 0,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო შემოსავლების კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებელი (ROE) 4,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 3,7 პროცენტს გაუტოლდა.

5. სავალუტო ბაზარი


2011 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 სავალუტო აუქციონი ჩაატარა და 10 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

საანგარიშო პერიოდში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1,8089-დან 1,7568-მდე შეიცვალა, ანუ გამყარდა 2,9 პროცენტით. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0,9 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2,7 პროცენტით გამყარდა.


სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე 2010-11 წლებში



ლარის ნომინალური და საბაზრო (ყიდვა-გაყიდვა) გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ



ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2009 - 2010 წლებში




თებერვლის თვეში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ (ეროვნული ბანკის ინტერვენციების გარეშე) 65,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7,8 მილიონი აშშ დოლარით (11 პროცენტით) ნაკლებია წინა თვის ბრუნვაზე. იმავდროულად კომერციულ ბანკებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა რვა პროცენტით გაიზარდა. ეროვნულმა ბანკმა საანგარიშო პერიოდში 1 ინტერვენცია განახორციელა და 10 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

თებერვლის დასაწყისში ეროვნულმა ბანკმა 10 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, თუმცა შემდგომ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურად მყარდებოდა. რადგან

ლარის გამყარება ზომიერი ტემპით მიდიოდა, ეროვნულმა ბანკმა თებერვალში ინტერვენციები აღარ განახორციელა. თებერვალში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია ფაქტიურად არ შეცვლილა. ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 73 პროცენტი (წინა თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 72 პროცენტს შეადგენდა) ქვეყანაში მოქმედი 19 ბანკიდან 5 ბანკზე მოდის. გარიგებების მხრივ ყველაზე აქტიურ 5 ბანკს ბაზრის 67 პროცენტი (იგივე რაც წინა თვეში) უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17 პროცენტი შეადგინა, რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 5,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2,1 პროცენტით გაიზარდა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში უფრო დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა, ვიდრე საქართველოში. თებერვალში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 13,7 პროცენტზე


დაბალი იყო რუსეთში – 9,6, სომხეთში – 12,4, აზერბაიჯანში – 9,3, თურქეთში – 4,2, უკრაინაში – 7,2, ევროზონაში – 2,4, აშშ-ში 2,1 – პროცენტი.

2011 წლის თებერვალში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2,4 პროცენტით გაიზარდა.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 1995=100)




ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2009=100)



6. საგარეო სექტორის მიმოხილვა


2011 წლის თებერვლის თვის საქონლით საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა თვესთან შედარებით 9.8 პროცენტით გაუმჯობესდა და 260.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი საანგარიშო პერიოდში 146.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი — 406.8 მლნ აშშ დოლარი იყო. მიმდინარე წლის იანვართან შედარებით ექსპორტი 0.8 პროცენტით, ხოლო


იმპორტი 6.7 პროცენტით შემცირდა. 2010 წლის თებერვლის მაჩვენებლებთან შედარებით, რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტი, შესაბამისად 33.5 და 26.9 პროცენტით მეტია. აქედან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო დეფიციტი 23.4 პროცენტით გაღრმავდა.



იმპორტი – 2011 წლის თებერვლის თვეში, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების შვიდეული შემდეგია: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, გერმანია,

ჩინეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ამ უკანასკნელმა, საიმპორტო შვიდეულში, ბულგარეთი ჩაანაცვლა.






საანგარიშო პერიოდში, უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყანად, წინა თვის ანალოგიურად, რჩება თურქეთი (მთლიანი იმპორტის 17.1 პროცენტი). თურქეთიდან შემოსული იმპორტის ღირებულება, წინა თვესთან შედარებით 5.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. მკვეთრად არის შემცირებული იზოლირებული მავთულებისა და კაბელების, აგრეთვე ელექტრული სატელეფონო აპარატების იმპორტი. ამასთან, მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის კლება მნიშვნელოვნად არის განპირობებული ალუმინის დაგერეხილი მავთულების, სარეცხი აპარატურის და სპეციალური დანიშნულების მანქანების შესყიდვების შემცირებით. საანგარიშო თვეში, ასევე ადგილი ჰქონდა თურქეთიდან შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების შესყიდვების კლებას. წინა თვისაგან განსხვავებით, კლება დაფიქსირდა თურქეთიდან იმპორტირებული სხვადასხვა სამშენებლო მასალების შემთხვევაში. მიუხედავად, მთლიანი იმპორტის კლების ტენდენციისა, საანგარიშო თვეში იმატა თურქეთიდან სამკურნალო საშუალებების, ბულდოზერების და აგრეთვე, კარტოფილის იმპორტმა. საკვები პროდუქტებიდან მატება დაფიქსირდა ხახვისა და შინაური ფრინველის ხორცის შემთხვევაში. სიდიდით მეორე იმპორტიორი ქვეყნიდან, აზერბაიჯანიდან, შემოტანილი პროდუქციის ღირებულებამ მთლიანი იმპორტის 11.9 პროცენტი შეადგინა და წინა თვესთან მიმართებაში 17.3 მლნ აშშ დოლარით მოიმატა, რაც უმთავრესად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების მკვეთრი მატებით არის განპირობებული. მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან შემოტანილი ბუნებრივი აირის შემთხვევაში. გაიზარდა ასევე, აზერბაიჯანიდან მზესუმზირის ზეთის შესყიდვები. თუმცა აღნიშნული მატების პარალელურად, შემცირებულია აზერბაიჯანიდან ელექტრული ტრანსფორმატორების და შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების იმპორტი. საანგარიშო თვეში, უკრაინიდან შემოტანილი პროდუქციის ღირებულებამ, მთლიანი იმპორტის 10.1 პროცენტი შეადგინა და წინა თვესთან მიმართებაში 9.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც ქვანახშირის კოქსის, შავი ლითონის ნაწარმის და მზესუმზირის ზეთის შესყიდვების კლებით არის განპირობებული. კლება დაფიქსირდა უკრაინიდან შემოტანილი შავი ლითონის მიწების და ცემენტის ნაწარმის შემთხვევაში. საერთო კლების ფონზე, საანგარიშო თვეში, აღსანიშნავია უკრაინიდან სიგარეტის იმპორტის ზრდა. რუსეთის ფედერაციიდან წარმოებული იმპორტი, თებერვლის თვეში, მთლიანი იმპორტის 6.6 პროცენტს შეადგენს და წინა თვესთან მიმართებაში 7.6 მლნ აშშ დოლარით

არის შემცირებული, რაც სრულად არის განპირობებული ბუნებრივი აირის იმპორტის მკვეთრი კლებით. მთლიანი იმპორტის 6.6 პროცენტი შეადგინა გერმანიიდან წარმოებულმა შესყიდვებმა და წინა თვესთან შედარებით 2.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ანალოგიურად, მოიკლო წინითიდან შემოტანილ პროდუქტებზე განუზღვრავი ზარალი. პირველ შემთხვევაში კლება განპირობებულია გერმანიიდან შავი ლითონის ნაწარმის და აირის, ელექტროენერგიის და წყლის მრიცხველების, ხოლო მეორე შემთხვევაში - ტელეაპარატურის შესყიდვების შემცირებით. საანგარიშო თვეში, ძირითადი საიმპორტო ქვეყნების შვიდეულიდან, აზერბაიჯანის მსგავსად, მხოლოდ არაბთა გაერთიანებულ საემიროების შემთხვევაში დაფიქსირდა იმპორტის ზრდა. თებერვლის თვეში, წინა თვესთან შედარებით, მკვეთრი კლება დაფიქსირდა ბულგარეთიდან წარმოებულ იმპორტში, რაც სრულად განაპირობა ნავთობპროდუქტების შესყიდვების კლებამ. ანალოგიურად, ნავთობპროდუქტების იმპორტის შემცირების შედეგად, საანგარიშო თვეში მთლიანი იმპორტის მკვეთრ შემცირებას ჰქონდა ადგილი საბერძნეთის შემთხვევაში. კლება დაფიქსირდა ასევე ესპანეთიდან, უნგრეთიდან და ყაზახეთიდან წარმოებულ იმპორტში. კერძოდ, ესპანეთის შემთხვევაში შემცირება მოდის შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციებზე, ხოლო უნგრეთისა და უზბეკეთის შემთხვევაში კი, კლება სრულად არის გამოწვეული ხორბლის შესყიდვების შემცირებით. საანგარიშო თვეში, ასევე მნიშვნელოვნად მოიკლო იმპორტმა განიდან და გაბონიდან, რაც ორივე ქვეყნის შემთხვევაში მანგანუმის მადნის შესყიდვების შეწყვეტის შედეგია. მთლიანი იმპორტის კლების ფონზე, საანგარიშო თვეში ზრდა დაფიქსირდა რუმინეთიდან, ლიბანიდან და ბრაზილიიდან წარმოებულ იმპორტში. რუმინეთიდან იმატა ნავთობპროდუქტების შესყიდვებმა, ხოლო ლიბანის და ბრაზილიის შემთხვევაში იმპორტირებული პროდუქციის საერთო ღირებულების ზრდა სრულად არის გამოწვეული შესაბამისად, ბუქსირებისა და გემების და შაქრის შესყიდვების მატებით. წინა თვესთან შედარებით იმპორტის დივერსიფიკაცია ქვეყნების მიხედვით მცირედით გაუარესდა. 2011 წლის თებერვალში იმპორტირებული საქონლის 21.8 პროცენტი მინერალურ საწვავსა და ნავთობზე მოდიოდა. აღნიშნული კატეგორიის იმპორტი, წინა თვესთან შედარებით, 1.7 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული. ამ კატეგორიაში შემავალი ნავთობპროდუქტების იმპორტი გაიზარდა 6.4 მლნ აშშ დოლარით. მატება გამოწვეულია შემოტანილი ნავთობპროდუქტების მკვეთრი რაოდენო-

ბრივი ზრდით. საპირისპიროდ, 2.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა ბუნებრივი აირის იმპორტი. 2011 წლის თებერვალში მნიშვნელოვნად არის მოკლებული შავი ლითონების ნაწარმის, მადნების, ელექტრული მანქანებისა და მოწყობილობების და პურეული მარცვლოვნების იმპორტი, შესაბამისად, 11.1, 7.9, 6.3 და 2.6 მლნ აშშ დოლარით. პირველი პროდუქტის შემთხვევაში, კლებას ადგილი ჰქონდა უკრაინიდან სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის შავი ლითონის ნაწარმის იმპორტის შემცირების გამო. მეორე შემთხვევაში, იმპორტის კლების ძირითადი მიზეზი, აფრიკის ქვეყნებიდან მანგანუმის მადნის შესყიდვების შემცირება გახდა. ელექტრული მანქანებისა და მოწყობილობების იმპორტის დაცემა, აზერბაიჯანიდან ელექტრული ტრანსფორმატორების, ხოლო თურქეთიდან



იზოლირებული მავთულებისა და კაბელების შემოტანის კლების შედეგია. პურეულის მარცვლოვნების შესყიდვების შემცირებას ადგილი ჰქონდა სერბეთისა და მონტენეგროს, უზბეკეთის და უნგრეთის მიმართულებიდან. ანალოგიურად, კლება აღინიშნა ქაღალდისა და მუყაოს, მექანიკური დანადგარების, ზეთის და ცხიმების, ავეჯის და საფეიქრო ტანსაცმლის იმპორტში. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, მატება დაფიქსირდა შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, გემები, ნაგები და სხვა მოცურავე საშუალებები, თამბაქოს ნაწარმის, ალუმინის და მისი ნაწარმის იმპორტში. იმპორტის კატეგორიების მიხედვით გაშლა, წინა თვესთან მიმართებაში, ნაკლებად დივერსიფიცირებულია.



იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით	2010, თებერვალი		2011, იანვარი		2011, თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთოპროდუქტები	58,557.8	18.3%	90,224.2	20.7%	88,505.7	21.8%
მინისზედა ტრანსპორტის საშუალებები, მათი ნაწილები და საკუთნობები	27,627.9	8.6%	36,219.3	8.3%	35,794.4	8.8%
აგრომური რეაქტორები, დანადგარები და მათი ნაწილები	25,430.4	7.9%	32,614.6	7.5%	30,708.3	7.5%
ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, მათი ნაწილები და საკუთნობები	22,622.4	7.1%	36,587.4	8.4%	30,279.3	7.4%
შავი ლითონის ნაწარმი	9,427.8	2.9%	27,623.5	6.3%	16,546.9	4.1%
ფარმაცევტული პროდუქცია	16,950.5	5.3%	13,932.5	3.2%	15,060.6	3.7%
პოლიმერული მასალები, პლასტმასები	9,084.9	2.8%	11,510.4	2.6%	11,481.3	2.8%
პურეული მარცვლოვნები	11,889.6	3.7%	12,345.8	2.8%	9,732.8	2.4%
შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი	4,461.3	1.4%	6,507.7	1.5%	9,584.1	2.4%
შავი ლითონები	8,299.5	2.6%	10,672.2	2.4%	9,243.3	2.3%
ქაღალდი და მუყაო; ნაწარმი ქაღალდის მასის, ქაღალდის ან მუყაოსგან	6,587.3	2.1%	8,807.3	2.0%	7,099.6	1.7%
თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები	6,431.4	2.0%	5,758.7	1.3%	7,026.6	1.7%
ბოსტნეული და ბოლქვენაყოფები	1,508.5	0.5%	5,936.5	1.4%	6,733.7	1.7%
ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	5,609.4	1.7%	5,268.2	1.2%	6,601.5	1.6%
საფეიქრო ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნობები	3,820.7	1.2%	4,855.7	1.1%	5,277.2	1.3%
სხვა კატეგორიები	102,332.0	31.9%	127,327.3	29.2%	117,158.8	28.8%
სულ	320,641.5	100%	436,191.6	100%	406,834.1	100.0%


ექსპორტი – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპორტი საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, 0.8 პროცენტით, ანუ 1.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2011 წლის თებერვლის თვეში წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების შვიდეულში შევიდა აშშ, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, კანადა, უკრაინა და ყაზახეთი. აშშ-ს მიმართულებით გაყიდვებით შემოსული შემოსავლები საანგარიშო თვეში მკვეთრად (12.7 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 22.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მატება დაფიქსირდა წამყვანი შვიდეულის კიდევ ორ ქვეყანაში - სომხეთსა და ყაზახეთში და შესაბამისად, 1.2 მლნ აშშ დოლარი და 1.0 აშშ დოლარი შეადგინა. საპირისპიროდ, ექსპორტირებული პროდუქციის გაყიდვებიდან შემოსულმა შემოსავლებმა დაიკლო თურქეთის (4.0 მლნ აშშ დოლარით), კანადის (3.2 მლნ აშშ დოლარით), აზერბაიჯანის (2.0 მლნ აშშ დოლარით) და უკრაინის (1.5 მლნ აშშ დოლარით) მიმართულებით. მნიშვნელოვნად იკლო ესპანეთის, ეგვიპტის და პოლონეთის მიმართულებით წარმოებული ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა (შესაბამისად 8.6, 4.2 და 2.7 მლნ აშშ დოლარით). ექსპორტის მატებას ადგილი ჰქონდა რუმინეთის, საფრანგეთის, იტალიის და ერაყის შემთხვევებში. აშშ-ს მიმართულებით განხორციელებული გაყიდვებისაგან შემოსული შემოსავლების მკვეთრი მატება, სრულად განაპირობა ფეროშენადნობების ექსპორტის მნიშვნელოვანმა მატებამ. მეორე უდიდესი საექსპორტო პარტნიორის, თურქეთის შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნა, ექსპორტის კლებამ 4.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც შავი ლითონის ჯართის, ელექტროენერგიის და ფეროშენადნობების გაყიდვების შემცირების შედეგია. აზერბაიჯანის შემთხვევაში, შემოსავლების კლება გამოწვეულია ამ ქვეყნის მიმართულებით ნახშირბადიანი ფოლადის ნნელების (ე.წ. არმატურის), სამკურნალო საშუალებების და ფეროშენადნობების გატანის შემცირებით. საანგარიშო თვეში, კანადის მიმართულებით მთლიანი ექსპორტის კლება, ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის, დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვებიდან შემოსული შემოსავლების შემცირების შედეგად დაფიქსირდა. უკრაინაში განხორციელებული ექსპორტის შემცირება სრულად განაპირობა ფეროშენადნობების ექსპორტის და მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლებამ. მკვეთრად შემცირდა აშშ-ს მიმართულებით გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები, რაც სრულად არის გამოწვეული ფეროშენადნობების ექსპორტის კლებით. როგორც უკვე აღვნიშნა, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად მოიკ-

ლო ექსპორტმა ესპანეთის მიმართულებით, რაც სრულად განაპირობა ამ ქვეყნის მიმართულებით სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვების შემცირებამ. ეგვიპტისა და პოლონეთში ექსპორტის შემცირებას, პირველ შემთხვევაში ფეროშენადნობების გატანის კლების, ხოლო მეორე შემთხვევაში სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის შემცირების ფონზე ჰქონდა ადგილი. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით იმატა ექსპორტმა სომხეთის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად არის განპირობებული მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიდან და სამკურნალო საშუალებების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდით. ანალოგიურად, იმატა საქართველოდან ყაზახეთში განხორციელებულმა ექსპორტმა, რაც მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიდან შემოსული შემოსავლების ზრდის შედეგია. ასევე, ექსპორტი გაიზარდა რუმინეთისა და იტალიის მიმართულებით, რაც პირველ შემთხვევაში მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვების, ხოლო მეორე შემთხვევაში - ნედლი ნავთობის გატანის მატების შედეგია. საფრანგეთის მიმართულებით ექსპორტის ზრდა სრულად მოდის მინერალური სასუქების ექსპორტის მატებაზე. წინა თვესთან შედარებით ექსპორტი ქვეყნების მიხედვით ნაკლებად დივერსიფიცირებულია.



2011 წლის თებერვალში, ექსპორტირებული საქონლის 30.8 პროცენტი შავ ლითონებზე, კერძოდ კი ფეროშენადნობებზე მოდიოდა. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი წინა თვესთან შედარებით 32.8 პროცენტით (11.2 მლნ აშშ დოლარით) არის მომატებული, რაც ძირითადად აშშ-ს და მექსიკის მიმართულებით ამ პროდუქციის გაყიდვების ზრდით არის განპირობებული. იანვრის თვესთან შედარებით, 3.2 პროცენტით გაიზარდა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების რეექსპორტით მიღებული შემოსავლები და 30.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წინა თვესთან მიმართებაში, 13.4 პროცენტით იმატა ქვეყანაში ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების გაყიდვებიდან შემოსულმა საერთო შემოსავლებმა. ზრდა დაფიქსირდა ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და მინერალური წყლების ექსპორტში, ხოლო, მაგარი სპირტიანი სასმელების შემთხვევაში, საანგარიშო თვეში, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები საპირისპიროდ, შემცირდა. მთლიან ექსპორტში, წილის 3.0 პროცენტს კლების პარალელურად, წინა თვესთან შედარებით შემცირდა მინერალური სასუქების გაყიდვები.


ანალოგიურად, მოიკლო ძვირფასი ლითონების, კერძოდ, ოქროს ექსპორტმა. 2011 წლის თებერვალში, 66.5 პროცენტით (აბსოლუტურ გამოსახულებაში 6.4 მლნ აშშ დოლარი) არის შემცირებული მადნების, კერძოდ კი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვები. ანალოგიურად, შემცირებულია საკვებად ვარგისი ნაყოფების კატეგორიაში შემავალი როგორც ახალი ან გამხმარი კაკლის (თხილის), ისე ციტრუსების ექსპორტი. საანგარიშო პერიოდში, 2011 წლის თებერვალში, სპილენძისა და მისი ნაწარმის ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 3.0 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.6 პროცენტული პუნქტით მეტია. ამასთან, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა აღნიშნული პროდუქციის ექსპორტიდან შემოსული შემოსავლები. ანალოგიურად, 1.0 მლნ აშშ დოლარით მატების პარალელურად, 0.7 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი ფარმაცევტული პროდუქციის გაყიდვების წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში. საანგარიშო თვეში, ექსპორტის სასაქონლო კატეგორიების მიხედვით დივერსიფიკაცია წინა თვესთან მიმართებაში მცირედით გაუარესდა.




ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით	2010, თებერვალი		2011, იანვარი		2011, თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
შავი ლითონები	28,876.7	26.3%	34,031.7	23.0%	45,192.2	30.8%
მინისზედა სატრანსპორტო საშუალებები	11,235.9	10.2%	29,793.0	20.2%	30,733.1	21.0%
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	9,327.5	8.5%	9,022.1	6.1%	10,232.5	7.0%
სასუქები	8,356.0	7.6%	14,178.9	9.6%	9,636.4	6.6%
ძვირფასი ლითონები	6,875.5	6.3%	11,718.4	7.9%	8,770.6	6.0%
მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები	4,731.1	4.3%	2,707.3	1.8%	5,242.1	3.6%
საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი	7,419.6	6.8%	6,122.7	4.1%	5,113.1	3.5%
სპილენძი და მისი ნაწარმი	2,259.7	2.1%	3,525.4	2.4%	4,327.0	3.0%
ფარმაცევტული პროდუქცია	2,462.1	2.2%	3,051.5	2.1%	4,058.9	2.8%
მადნები, წიდა, ნაცარი	7,270.2	6.6%	9,683.7	6.6%	3,244.3	2.2%
ცოცხალი ცხოველები	1,598.3	1.5%	2,053.3	1.4%	2,616.3	1.8%
ალუმინი და მისი ნაწარმი	842.6	0.8%	1,682.2	1.1%	1,744.5	1.2%
ატომური რეაქტორები, დანადგარები და მათი ნაწილები	782.7	0.7%	1,059.4	0.7%	1,141.3	0.8%
ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთონები	972.4	0.9%	1,116.6	0.8%	1,094.8	0.7%
საფეიქრო ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთონები	1,036.8	0.9%	1,242.9	0.8%	1,063.1	0.7%
სხვა კატეგორიები	15,773.0	14.4%	16,847.2	11.4%	12,392.6	8.5%
სულ	109,820.2	100%	147,836.3	100%	146,602.9	100%

ფულადი გზავნილები – 2011 წლის თებერვლის თვეში, სწრაფი ფულადი გზავნილების საშუალებით საქართველოში ჩარიცხული თანხის მოცულობა 73.6 მლნ აშშ დოლარს, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხის მოცულობა 6.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში ჩარიცხული თანხა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19.3 პროცენტით, ხოლო წინა თვის მონაცემთან შედარებით 12.0 პროცენტით არის მომატებული. რაც შეეხება გადარიცხვებს, აღნიშნული მაჩვენებელი 16.1 პროცენტით გაიზარდა წინა წლის თებერვალთან შედარებით, ხოლო წინა თვის მონაცემთან მიმართებაში საქართველოდან განხორციელებული გადარიცხვები 10.8 პროცენტით არის მომატებული.

გადაფასებისა და საპროცენტო შემოსავლების ხარჯზე. პარალელურად, საანგარიშო პერიოდში, ადგილი ჰქონდა საერთო ბაზარზე ინტერვენციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვის 10 მილიონი აშშ დოლარით შემცირებას. ამასთან, ხაზინასთან და ბანკებთან ოპერაციების და სხვა ცვლილებების საფუძველზე, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვის კლებამ, 2011 წლის თებერვალში 26.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.




საანგარიშო პერიოდში საქართველოში ჩარიცხული თანხების 52.3 პროცენტი მოდის რუსეთის ფედერაციაზე, 7.5 პროცენტი საბერძნეთზე, 7.2 პროცენტი აშშ-ზე, 6.9 პროცენტი იტალიაზე და 5.1 პროცენტი უკრაინაზე.



ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვი – 2011 წლის თებერვლის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვი 106.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2,519 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თებერვლის თვეში გაიზარდა უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 10-დან 15 პროცენტამდე. სარეზერვო ნორმის დასაცავად ბანკების მიერ გადმორიცხული თანხების ხარჯზე საერთაშორისო რეზერვი საანგარიშო პერიოდში დაახლოებით 136.1 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. ასევე, მატება დაფიქსირდა

გადაფასებისა და საპროცენტო შემოსავლების ხარჯზე. პარალელურად, საანგარიშო პერიოდში, ადგილი ჰქონდა საერთო ბაზარზე ინტერვენციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვის 10 მილიონი აშშ დოლარით შემცირებას. ამასთან, ხაზინასთან და ბანკებთან ოპერაციების და სხვა ცვლილებების საფუძველზე, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვის კლებამ, 2011 წლის თებერვალში 26.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვი (მლრდ აშშ დოლარი)




7. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი

თებერვლის თვეში ჩატარდა 91 დღიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების ოთხი აუქციონი. აღნიშნულ აუქციონებზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 339.3 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 140 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 136,724,861 ლარი. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.56 პროცენტი შეადგინა, რაც 0.12 პროცენტული პუნქტით ნაკლებია იანვრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2010 წლიდან სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისიების მოცულობები ზრდის ტენდენციით ხაიათდება. თითოეულ აუქციონზე შეთავაზებული სადეპოზიტო სერთიფიკატების მოცულობა 15 მლნ ლარიდან 35 მლნ ლარამდე გაიზარდა ეტაპობრივად გასული წლის განმავლობაში. 2011 წლის იანვარ-თებერვალშიც ემისიები 35 მლნ ლარს შეადგენდა თითოეულ აუქციონზე. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით ხდება თავისუფალი ლიკვიდური სახსრების ამოღება საბანკო სექტორიდან და ამავდროულად ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

91 დღიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონი




სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები. თებერვალში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ორი აუქციონი. სრულად განთავსდა 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები, საანგარიშსწორებო ფასით 28,466,987 ლარი. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე 67.5 მლნ ლარით გადააჭარბა ემისიას. იანვართან შედარებით, ემისია არ შეცვლილა, მოთხოვნა კი 24.8 მლნ ლარით გაიზარდა.

აუქციონზე გაიყიდა 731 და 364 დღიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც დაფიქსირდა შესაბამისად 12.85 პროცენტი და 11.31 პროცენტი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები.

თებერვლის თვეში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების კლება შეინიშნებოდა. საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ადგილი ჰქონდა როგორც სად-


ეპოზიტო სერთიფიკატებზე ასევე სახაზინო ობლიგაციებზე. საანგარიშო პერიოდში სადეპოზიტო სერთიფიკატების საშუალო საპროცენტო განაკვეთი იანვართან შედარებით 0.12 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.56 პროცენტი შეადგინა. ორწლიანი სახაზინო ობლიგაციების განაკვეთებმა 0.73 პროცენტული პუნქტის კლების შემდეგ 13.09 პროცენტი შეადგინა. ერთწლიანი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები კი 0.25 პროცენტული პუნქტით შემცირდა და საშუალოდ 11.64 პროცენტს გაუტოლდა.

